მომსახურების ხელშეკრულება
გ.შ.39/22

ქ.თბილისი, 02 / 11/ 2022 წელი

ერთის მხრივ შპს „თბილსერვის ჯგუფი“ (მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილის N67, ს/ნ 206267494) წარმოდგენილი მისი დირექტორი დავით ფაჩულიას სახით, (შემდგომში წოდებული “შემსრულებელი”) და მეორე მხრივ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მინისტრის პირველი მოადგილის ილია ბეგიაშვილის სახით (შემდგომში “დამკვეთი”), საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის (პირველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) 2022 წლის 01 ნოემბრის N 3073-01 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და პირობები

1.1. შემსრულებელი, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოფს, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული, ამორტიზირებული და გამოსაყენებლად უვარგისი აქტივების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობიდან ერთჯერად გატანასა და შემდგომ განადგურებას (CPV **-90510000; 90513300**).
1.2. დამკვეთის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს აღნიშნული ნარჩენის განდადგურება-გაუვნებელყოფა, შესაბამის ნარჩენების პოლიგონზე.
1.3. არასახიფათო შერეული ნარჩენის გატანა განხორციელდება აღნიშნული მისამართიდან:
მისამართი: ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის №12, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
1.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
1.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხაროციელდება მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებულ დროს, დროის განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია დამკვეთის მხრიდან მოწოდებული უნდა იყოს მომსახურების გაწევამდე არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. **შემსრულებელი ვალდებულია:**
2.1.1 ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს;
2.1.2 მომსახურება განახორციელოს დამკვეთის მოთხოვნისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
2.2 **შემსრულებელს უფლება აქვს:**
2.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამკვეთისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.
2.2.2 დამკვეთისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.
2.3 **დამკვეთი ვალდებულია:**
2.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.
2.3.2 ხელი შეუწყოს შემსრულებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში.
2.4 **დამკვეთს უფლება აქვს:**
2.4.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

2.4.2 მოითხოვოს შემსრულებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.
2.4.3 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში წერილობითი ფორმით, ცხელი ხაზის (ტელ: 2619050) ან ელექტრონულ ფოსტის (info@tbsg.ge) მეშვეობით აცნობოს შემსრულებელს.
2.5 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება, მიღება-ჩაბარების შედგენის წესი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
3.2.მომსახურების სავარაუდო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით შეადგენს **1678.60 (ათას ექვსს სამოცდათვრამეტი ლარი და 60 თეთრი)** ლარს;
3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების, არასახიფათო შერეული ნარჩენის ერთჯერადი გატანის ღირებულება განისაზღვრება მიღება ჩაბარების აქტით შესაბამისი ნარჩენის გასატანი ავტომანქანების მოცულობათა მიხედვით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

N	ავტომანქანის ტიპი	ნარჩენების გატანის ერთჯერადი მომსახურების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
1	7 კუბ/მ თვითმცლელი „აბზეცკიპერი“	245
2	20 კუბ/მ „ჰუკლიფტი“ გადამტვირთი	700
3	40 კუბ/მ „ჰუკლიფტი“ გადამტვირთი	1400

ავტომანქანის მოცულობა	**ღირებულება ლარში (დღგ-ს ჩათვლით)**
7 კუბ/მ	295.76
10 კუბ/მ	387.73
13 კუბ/მ	574.61
15 კუბ/მ	594.14
22 კუბ/მ	853.74
7 კუბ/მ თვითმცლელი ა/მ GAZELLE	335.72

3.3.1 20კუბ/მ თვითმცლელის ღირებულება შეადგენს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
3.4. ნარჩენის მოცულობის მიხედვით, შესაბამისი ავტომანქანის შერჩევა მოხდება შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.
3.5. მხარეები მომსახურების გაწევამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე, უნდა შეთანხმდნენ, თუ რა დროს და რა მოცულობით განხორციელდება არასახიფათო შერეული ნარჩენების გატანა.
3.6. დამკვეთის სურვილის შემთხვევაში, შპს „თბილსერვის ჯგუფი“ დამატებით განახორციელებს არასახიფათო შერეული ნარჩენის შესაბამის პოლიგონზე განადგურება-გაუვნებელყოფის მომსახურებას.
3.7. განადგურება-გაუვნებელყოფის ფასი განისაზღვრება საყოფაცხოვრება ნარჩენების პოლიგონზე აწონვის შედეგად, რომლის ღირებულებაც ტონაზე შეადგენს 23.26 (ოცდასამი და 26 თეთრი) ლარს, ხოლო სითხის შემცვლელი საკვები პროდუქტები 116.58 (ასთექვსმეტი და 58 თეთრი) ლარი.
3.8. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.9. ამ ხელშეკრულების ძალით გაწეული მომსახურების შემოწმებას, მიღება-ჩაბარებას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებას შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ან/და ამავე დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის ან დაგვიანებით გადახდისათვის, დამკვეთს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება გადასახდელი თანხის 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
4.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

გაუთვალისწინებელ გადაულახავ წინააღმდეგობათა წარმოქმნისას (ფორს-მაჟორი) მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან, ფორს-მაჟორული ვითარების მოხსნამდე.

მუხლი 7. სადავო საკითხების მოგვარება

დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.
8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფი”	
მის: ქ. თბილისი, კახეთის	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
გზატკეცილი #67	ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საიდ. კოდი: 206267494	მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12,
სს საქართველოს ბანკი	საიდენტიფიკაციო კოდი 204 564 845
SWIFT კოდი:BAGAGE22	სახელმწიფო ხაზინა ანგარიშის №
ა/ნ GE81BG0000000499211307	GE24NB0330100200165022, კოდი TRESGE22.
შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“ -ს	
დირექტორი	
	მინისტრის პირველი მოადგილე
დავით ფაჩულია	ილია ბეგიაშვილი

Ilia Begiashvili

Digitally signed by Ilia Begiashvili
Date: 2022.11.02 12:41:02 +04'00'